საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

KA000066097283521

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ **7** **03 / თებერვალი / 2021 წ.**

განკარგულება

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, უძრავი ქონების, ქ. ახმეტაში, ჩოლოყაშვილის ქ. N49-ში მდებარე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 50.04.47.069) მესამე სართულზე არსებული 82.9კვ.მ ფართის საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის მაჟორიტარი წევრის ბიუროსთვის, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე- 6 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე, 55-ე მუხლების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას განახორციელოს, **ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, უძრავი ქონების, ქ. ახმეტაში, ჩოლოყაშვილის ქ. N49-ში მდებარე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 50.04.47.069) მესამე სართულზე არსებული 82.9კვ.მ ფართის საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის N10 ოლქის თელავის, ახმეტის, ყვარლის და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტების მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ირაკლი ქადაგიშვილის ბიუროსთვის, მეათე მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა.**

2. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ახმეტის მაგისტრატ სასამართლოში (ქ.ახმეტა, ი.ჭავჭავაძის ქ.N101)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

თამარ ყეინიშვილი